საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაბესკირია გურამ შალვას ძე

გ. გაბესკირია

გაბესკირია გურამ (გიზო) შალვას ძე (დ. 12. IV. 1936, თბილისი), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1980). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1981). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამთო ფაკ-ტი (1965) და სცენარისტთა და რეჟისორთა უმაღლესი კურსები მოსკოვში (1971). 1971 კინოსტუდია „მოსფილმში“ თავისივე სცენარით გადაიღო სამნაწილიანი სადიპლომო მხატვრული ფილმი „პირველი გზა“. 1972-იდან მუშაობს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელი რეჟისორია. გადაიღო ფილმები: „დათა თუთაშხია“ (1977, გ. ლორთქიფანიძესთან ერთად; სსრკ სახელმწ. პრემია, 1981), „კიკვიძე“ (გ. კალატოზიშვილთან ერთად, 1980), „ზღვის მაშვრალნი“ [მინი-სერიალი ე. სეშანთან ერთად, ვ. ჰიუგოს ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით „ქართული ფილმისა“ და „პატესინემას“ (საფრ.) ერთობლივი ნამუშევარი 1986]. 1987 დააფუძნა და ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელ სტუდია „ფრესკას“. სხვადასხვა დროს ასწავლიდა კინორეჟისურას სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილ. პედაგოგიურ უნ-ტში (1997–2000), საქართვ. პოლიტექნიკურ უნ-ტის ჰუმანიტარულ ფაკ-ტზე (2001–04), 2006-იდან არის ილიას სახ. სახელმწ. უნ-ტის ჰუმანიტარული ფაკ-ტის საპატიო პროფესორი.

მ. კერესელიძე